საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიყის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414

KA000052497608920

№ **18-ი** **24 / ივნისი / 2020 წ.**

განკარგულება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა თანდართული ფორმით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი:
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

კარლო ჯამბურია

ადგილობრივი ეკონომიკური
განვითარების გეგმა

„ერთად ლაგოდეხისთვის“



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

საქართველო

მერის მიმართვა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი დიდი პოტენციალის მქონე პერსპექტიული მუნიციპალიტეტია ეკონომიკური განვითარების მხრივ. სწორედ ამიტომ, ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანია მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების ზრდის და შესაბამისად ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები, ბუნებრივი რესურსების სიუხვე, ტურისტული ობიექტები, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, საგზაო ინფრასტრუქტურა, არსებული მუნიციპალური სერვისები, რელიეფი და ნაყოფიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი ეთნო-კულტურული ტრადიციები, სტუმართმოყვარე მოსახლეობა იძლევა მუნიციპალიტეტში საინვესტიციო პოტენციალის ზრდის განსაკუთრებულ პირობებს. აქედან გამომდინარე, ყველა არსებული რესურსის გამოყენებით ძალიხმევას არ დავიშურებ, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მიმზიდველი გახდეს საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლისათვის, როგორც ინვესტიციის განხორციელებისათვის, ასევე ცხოვრებისა და დასვენებისათვის.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას. ჩვენი საზოგადოების გაერთიანების, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში მათი ჩართვის სურვილი, ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ევროკავშირის აღნიშნულ ინიციატივასთან (M4EG) შეერთებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი და მზაობა, რომ გავიზიაროთ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების გამოცდილება და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად დავგეგმოთ მომავალი ქმედებები, ხელი შევუწყოთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას.

ჩვენთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ევროკავშირთან თანამშრომლობა, რადგან ვაცნობიერებთ მმართველობის იმ პრინციპების მნიშვნელობას და საჭიროებას, რომელიც უკვე წარმატებით დაინერგა და განხორციელდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა იქნება ქმედითი, სიცოცხლისუნარიანი და ამავდროულად პოზიტიური შედეგების მომტანი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისთვის, რაც ამავდროულად გამოიწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ძირითადი ნაწილი ლაგოდეხის მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ამასთან, გაწერილია ღონისძიებები სხვა პარტნიორი ორგანიზაციების დაფინანსებით.

მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს, კერძო და სამოქალაქო სექტორს და მოსახლეობას, რომელნიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში.

გამოვთქვამ მზადყოფნას პირადად ჩავერთო ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, რათა ხელი შეეწყოს დაგეგმილი ღონისძიებების ჯეროვან და ეფექტურ განხორციელებას.

პატივისცემით,

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი

ჯონდო მდივნიშვილი

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიას

სახელი: დიმიტრი ზურაბაშვილი

თანამდებობა: II რანგი - საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი

მისამართი: ქ.ლაგოდეხი, 26 მაისის ქუჩა N 25 ტელეფონი: +995 599 371 790

ელ-ფოსტა: d.zurabashvili@gmail.com

ვებ-ბგვერდი www.lagodekhi.gov.ge

1. შემაჯამებელი შინაარსი

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა მომზადებულია ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორების მიერ, ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების თანაბარი ჩართულობით, რომლის ფარგლებშიც გამოვლენილი იქნა უმთავრესი ეკონომიკური მიმართულებები, ეფუძნება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასა და მიდგომებს, მიმართული კერძო სექტორის ზრდისაკენ, რათა საბოლოო ჯამში ხელი შეეწყოს ადგილობრივ განვითარებასა და დასაქმებას.

წინამდებარე გეგმის მიზანი, არსებული მდგომარეობის გაანალიზებით, მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი კეთილდღეობის მიღწევის მხარდამჭერი ამოცანების განსაზღვრა და კონკრეტული ქმედებების დაგეგმვაა. გეგმა ფოკუსირებული და ორიენტირებულია მხოლოდ ეკონომიკის მიმართულებებზე.

ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მნიშველოვანია ისეთი სისუსტეების დაძლევა, როგორიცაა არასაკმარისად განვითარებული ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი სამუშაო ძალის მიგრაცია, ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი მუნიციპალური სერვისების სიმცირე, ბიზნეს სექტორში ტექნოლოგიებისა და ცნობიერების არასათანადო დონე, მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა და სხვა.

აღნიშნული სისუსტეების დაძლევაში დაგვეხმარება ის ძლიერი მხარეები, რომელიც მუნიციპალიტეტს გააჩნია ბუნებრივ-კლიმატური პირობების, ადგილობრივი ლანდშაფტის და თუნდაც მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა, გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის ზრდას როგორც ტურისტული ისე საინვესტიციო თვალსაზრისით, ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურისა და დივერსიფიცირებული მეწარმეობის განვითარებას, სამუშაო ადგილების ზრდას. ხედვის მისაღწევად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მთავარი მიზნები: მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორში ცნობიერების ამაღლება და სამეწარმეო უნარების განვითარება, სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდა და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობერება.

მიზნების მისაღწევად დაისახა ისეთი ღონისძიებები, რიმელთ საშუალებითაც მიიღწევა: მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდა როგორ ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე; ინვესტორების დაინტერესება და ინვესტიციების მოზიდვა; სამეწარმეო ცოდნის/კვალიფიკაციის ამაღლება; კერძო სექტორზე ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის ზრდა, ტურისტულად მიმზიდველი გარემოს შექმნა, ფინანსური რესურსების მოძიების ხელშეწყობა და აგროწარმოების განვითარება.

გეგმა ასევე მოიცავს ღონისძიებებისთვის საჭირო დაფინანსების რაოდენობასა და სავარაუდო წყაროებს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მზადაა გეგმით გათვალისწინებული ქმედებების ძირითადი ნაწილის საკუთარი ბიუჯეტიდან დასაფინანსებლად. დაფინანსების სქემის მიხედვით ქმედებებზე გაწეული დანახარჯების ჯამური ოდენობა შეადგენს 1 192 961 ლარს - 397 687 ევროს. ამასთან ღონისძიებების ნაწილი შესრულდება სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით და ფინანსური თანამონაწილეობით. ამასთან, ნაწილი აქტივობები დაგეგმილია დონორის მოძიების იმედად და აუცილებელია, გააქტიურდეს მუშაობა დაფინანსების გარე წყაროების მოსაძიებლად.

2. სარჩევი

მერის მიმართვა **1**

1. შემაჯამებელი შინაარსი 3
2. სარჩევი 4
3. შემოკლებების სია 4
4. გეგმის შესავალი 5
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი 6

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი 6

6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი 6

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები: 9

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია 10

6.4 ფინანსებზე ხელმისაწვდომობა 11

6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა 12

6.6 მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო 12

6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა 13

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი 14

7. SWOT ანალიზი 14
8. ხედვა და მიზნები 16
9. სამოქმედო გეგმა 18
10. დაფინანსების სქემა 21
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები 22

3. შემოკლებების სია

M4EG - მერები ეკონომიკური ზრდისთვის

LAG - ლაგოდეხის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი

SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები

DMO- დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია

შშმ - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

კმ- კილომეტრი

მ- მეტრი

სთ- საათი

კვ.მ.- კვადრატული მეტრი

კვ.კმ.-კვადრატული კილომეტრი

4. გეგმის შესავალი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი 2018 წლის მარტში მერის ხელმოწერით შეურთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, კახეთის რეგიონში. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება კახეთის რეგიონის 3 მუნიციაპლიტეტი: ყვარლი, სიღნაღი, გურჯაანი. აზერბაიჯანის რესპუბლიკა (ბელაქანის ადმინისტრაციული ერთეული) და დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია). მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ლაგოდეხი, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან – თბილისიდან დაშორებულია - 156 კმ-ით (2 სთ და 30 წუთის სავალი დროით), კახეთის რეგიონის ცენტრიდან, ქალაქ თელავიდან 100 კმ-ით (1 საათი სავალი დროით). უახლოესი რკინიგზის სადგურიდან (წნორი) 38 კმ-ით (30 წუთი სავალი დროით). ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი ზღვის დონიდან 435 მ. სიმაღლეზე მდებარეობს, რელიეფი ძირითადად მთა-გორიანია. აქ ჰავა ზომიერად ნოტიო და სუბტროპიკულია, რაც აგრარული კუთხით მნიშვნელოვანია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის (სხვადასხვა კულტურებში აქ ორი მოსავლის მოყვანაა შესაძლებელი). მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 44% მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ხოლო ტყეებს უკავია 46%. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მრავლადაა ზედაპირული და გრუნტის წყლები, რომელსაც მოსახლეობა იყენებს, როგორც სასმელად, ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად.

ლაგოდეხში 890.2 კვ.კმ.-ზე, 1 ქალაქსა და 67 სოფელში 43.1 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რომელთა საშუალო ასაკი - 38.4 წელია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მე-20 საუკუნის 90 წლებიდან 20%-ზე მეტად არის შემცირებული, თუმცა ბოლო 5 წელია მოსახლეობის რაოდენობა სტაბილურია. მოსახლეობაში ქალების რაოდენობა 50%-ია, მათი საშუალო ასაკი 40.4 წელია, მაშინ როცა მამაკაცების - 36.5. მოსახლეობის - 66.4% შრომისუნარიანია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 86% სოფლად ცხოვრობს (რუკები ცხრილი და გრაფიკი იხილეთ დანართ „ბ“-ში).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, მოქმედებს ბიზნესის და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი სხვადასხვა პროგრამები (აწარმოე საქართველოში, დანერგე მომავალი და სხვ.), რომელმაც ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტში საწარმოთა რაოდენობის ზრდას და ბიზნესის განვითარებას. ასევე, ინფრასტრუქტურის კუთხით, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს სამშენებლო თუ განახლებადი სამუშაოები (სასწავლო დაწესებულებები, სკვერები, გზები და სხვ).

თუმცა აღვნიშნავთ, რომ მსგავსი დოკუმენტი აქამდე არ შემუშავებულა. იგი არ არის ყოვლის მომცველი გეგმა და შესაბამისად ვერ ჩაანაცვლებს სხვა გეგმებს, რომელიც არსებობს მუნიციპალიტეტში. იგი ფოკუსირებულია კონკრეტულად კერძო სექტორის განვითარებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური ზრდა, განვითარება და დასაქმება. აქვე აღვნიშნავთ, რომ გეგმა კავშირშია: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიულ პრიორიტეტებთან, მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებთან, LAG-ის მიერ შემუშავებულ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასთან 2016-2020, კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან 2014-2021 და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან „საქართველო 2020“.

მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა სექტორის, მათ შორის კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, ლაგოდეხის მუნიციპალიტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც შეიქმნა თანასწორობის პრინციპით ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების პარტნიორობით.

გეგმაში გაწერილი ღონისძიებების 75%-ზე მეტი დაფინანსებული იქნება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, სახელმწიფო და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების ბიუჯეტიდან. გეგმაში

ასახული ღონისძიებების განხორციელების და მონიტორინგის პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართულნი კერძო სექტორის წარმომადგენლები და სახელმწიფო სტრუქტურები.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება მერის უშუალო ჩართულობით მოხდა. მერის ბრძანებით დაინიშნა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ოფიცერი და შეიქმნა უშუალოდ გეგმის შემმუშავებელი 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობა შემდეგნაირად გადანაწილდა: 1 წარმომადგენელი კერძო სექტორიდან, 1 წარმომადგენელი არასამთავრობო სექტორიდან, და 2 წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის მერიიდან. გაიმართა კონსულტაციები ადგილობრივი მოქმედი ყველა სექტორის წარმომადგენლებთან. მოხდა მათთვის აღნიშნული ინიციატივისა და კონცეფციის გაცნობა, ჩატარდა შეხვედრები მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სექტორების ფოკუს ჯგუფებთან, საჭიროებების გამოვლენის, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, მოხდა დაინტერესებული მხარეთა ჩართულობა.

6 შეხვედრა ჩატარდა მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან სხვადასხვა ეკონომიკური სექტორების მიხედვით შერჩეულ ფოკუს ჯგუფებთან. 1 საერთო შეხვედრა მუნიციპალიტეტში მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების, საჯარო სექტორის და ბიზნესის წარმომადგენლებთან. 1 საერთო შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, 1 შეხვედრა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრების დროს შეგროვდა ყველა საჭირო მონაცემი, ასევე მოხდა საჭიროებების გამოვლენა, ხედვისა და მიზნების ვერსიების შემუშავება.

დიალოგის პროცესში განიხილული იქნა ბიზნეს სექტორსა და მეწარმეებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები, იდეების დონეზე მიღწეული იქნა შეთანხმება გარკვეულ პარტნიორულ ურთიერთობებზეც. მაგალითად, სასტუმროებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, საერთო საპარტნიორო პლატფორმის ჩამოყალიბება. ასევე კერძო მეწარმეთა და სასტუმროებს შორის თანამშრომლობა წარმოებული პროდუქციის მიწოდებისა და რეკლამირების კუთხით. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაინტერესებისა და გავლენის მიხედვით, პარტნიორულ ურთიერთობებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა „საკონსულტაციო საბჭო“. საბჭოს წევრების რაოდენობა შეადგენს 16 ადამიანს. აქედან, 6 ქალია და 10 მამაკაცი. 7 წევრი საჯარო სექტორიდან, 4 - სამოქალაქო, ხოლო - 5 წევრი კერძო სექტორს წარმოადგენს.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, სამთომომპოვებელი და დამამუშავებელი მრეწველობის (სამშენებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავება და სხვ.), მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით. ამ ანალიზის გათვალისწინებით, როგორც გრაფიკულადაც ჩანს (დანართი „გ“) ბრუნვისა და შემოსავლების გათვალისწინებით ამ დროისათვის ყველაზე განვითარებულ მიმართულებებად ვაჭრობა-მომსახურების და მრეწველობის სექტორები მიიჩნევა. თუმცა, აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ როგორც დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტი, იმედისმომცემ და სწრაფად განვითარებად მიმართულებად შეიძლება დავასახელოთ ტურიზმის სექტორი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს 2018 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 1050 რეგისტრირებული საწარმო, 3 საშუალო ზომის საწარმოა

დანარჩენი კი - მცირე. ადგილობრივ ფასეულობათა ჯაჭვის უდიდეს ნაწილს, ანუ საწარმოების 59% შეადგენს ვაჭრობა-მომსახურების (ავტო-მომსახურება, სასტუმრო და კვების ობიექტები და სხვ.) და საყოფაცხოვრებო-კვების ნაწარმის სექტორები. რაოდენობის მიხედვით მეორე დამამუშავებელი მრეწველობაში დარეგისტრირებული საწარმოები - 7 %-ია (იხ. დანართი „გ“). ძირითადად აღნიშნული სექტორები იყენებენ ადგილობრივ მიმწოდებლებსა და რესურსებს თავიანთი ფასეულობათა ჯაჭის განსავითარებლად. ხოლო, ისეთი კომპანია ან დარგი, რომელთა პროდუქცია ან მომსახურება ასახავდეს მოცემული ტერიტორიის ინდივიდუალობას და გამოარჩევდეს სხვებისგან ამჟამად მუნიციპალიტეტში არ არსებობს.

2013 წელთან შედარებით რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 44%-ითაა გაზრდილი. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ბოლო წლების განმავლობაში მოქმედებს ბიზნესის და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო, ასევე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამები, რომელმაც ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტში საწარმოთა რაოდენობის ზრდას და ბიზნესის განვითარებას.

ტურიზმის სექტორში, ობიექტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ეს განპირობებულია იმით, რომ ლაგოდეხში მდებარეობს დაცული ტერიტორიები (ნაკრძალი), სადაც ეტაპობრივად ვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა. დაცული ტერიტორიების ოფიციალური მონაცემების მიხედვით 2014 წელს მას ეწვია 39 417, ხოლო 2018 წელს 57 472 ვიზიტორი. აღსანიშნავია, რომ ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყობა „ხის კენწეროების ბილიკი“, რომლის დაპროექტების ფაზაც დასასრულს უახლოვდება. აღნიშნული ობიექტის ამოქმედება წლის განმავლობაში 350 000-მდე გაზრდის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რიცხვს. ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე მდებარეობს 4 ტურისტული მარშრუტი. ტერიტორიაზე მდებარეობს 2 საპიკნიკე და 5 საკემპინგე ადგილი, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისად. ლაგოდეხში, მდებარეობს 2 მუზეუმი: ერთი - ქალაქის ტერიტორიაზე, სადაც გამოფენილია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსპონატები, ხოლო მეორე, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის შენობაში, სადაც ვიზიტორს ეძლევა საშუალება მიიღოს ინფორმაცია ნაკრძლის ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების შესახებ.

აღნიშნული მდგომარეობა დადებითად მოქმედებს სასასტუმრე და კვების ბიზნესის განვითარებაზე. ასევე, ტურიზმის სექტორის ტენდენციურ ზრდა-განვითარებაზე ზეგავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების არსებობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე მუნიციპალიტეტში ტურისტულ და მომსახურების სექტორებში შეინიშნება განვითარება.

2019 წლის მარტის თვის მდგომარეობით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ფიქსირდება 50-მდე მოქმედი საოჯახო სასტუმრო, კერძო სასტუმრო და კვების ობიექტი, ხოლო 10-მდე მშენებარე სასტუმრო და კვების ობიექტი. სასტუმროების საწოლების საერთო რაოდენობა არის 335. სასტუმრო და კვების ობიექტთა რაოდენობა 2013 წელთან შედარებით 33 % გაზრდილია. უნდა აღინიშნოს, რომ მშენებარეს და უმრავლეს მოქმედ სასტუმროს აქვს საკუთარი ღვინის მარანი და ღვინის საკუთარი წარმოება, რაც ღვინის ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებული ღვინო გამოირჩევა თავისი უნიკალურობით და ხასიათდება განსაკუთრებული გემოვნური თვისებებით.

ქართული ღვინის საერთაშორისო პოპულარობამ გაზარდა ადგილობრივ მევენახეთა რიცხვი, რაც ღვინის წარმოებისა და ექსპორტის მატებაზეც აისახება. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე მოქმედებს 3 ღვინის ქარხანა/მარანი. აღნიშნულ მარნებში წარმოებული ღვინო და სხვა ალკოჰოლური სასმელები გადის, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. მარნებს სტუმრობენ, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხო ქვეყნის ვიზიტორები.

მეღვინეობა მუნიციპალიტეტში განვითარებადი დარგია, რომელიც მომავალში უფრო ფართოდ იქნება წარმოდგენილი.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან, განვითარებულია: მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეტბორეობა და მეფუტკრეობა. მუნიციპალიტეტში არის 38 სატბორე მეურნეობა. ტბორების წყლის სარკის ჯამური ფართობია 485 ჰა.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მსხვილი და ამავდროულად განვითარებადი დარგია მეფუტკრეობა. 2018 წლის მონაცემებით (რეგისტრირებული და არარეგისტრირებული) მუნიციპალიტეტის მეფუტკრეთა რაოდენობა 300-მდე მსხვილი და მცირე ფერმერითაა წარმოდგენილი. ამ პერიოდში მათ საკუთრებაში იყო 4960 ფუტკრის ოჯახი და წარმოებული იქნა საშუალოდ 49.6ტ. თაფლი. ხოლო 2015 წლისათვის ამ მაჩვენებელმა შეადგინა 4370 ფუტრის ოჯახი და 43.7ტ. თაფლი. მეფუტკრეობის განვითარებას ხელს უწყობს ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ფერმერთა მიერ დაგროვილი გამოცდილება. როგორც აღვნიშნეთ, ლაგოდეხის ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ლანდშაფტი ხელს უწყობს მეფუტკრეობის დარგის განვითარებას, რაც შესაბამისად ხელს უწყობს მიღებული პროდუქციის (თაფლი, ფიჭა და სხვ.) ზრდას, თუმცა პროდუქციის რეალიზება გარკვეული დაბრკოლებებით ხდება. საჭიროა ფერმერთა ცნობიერების ამაღლება და ვეტერინარიული უნარჩვევების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს მათი ნაწარმის რეალიზაციას და ამასთანავე დარგის უფრო მეტად განვითარებას. ამასთან, ადგილი აქვს ფალსიფიკაციას, რაც ბაზარზე მომხმარებელთა უნდობლობას და ფასის დაწევას იწვევს.

სოფლის მეურნეობის დარგში წარმოების ზრდას აფერხებს სასოფლო-სამეურნეო სერვისებზე ნაკლებად ხელმისაწვდომობა, აგროტექნიკის და დარგის სპეციალისტების სიმცირე. ასევე, მნიშველოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ახალი დაავადებებების და მავნებლების გავრცელება. აგრეთვე, ფერმერთა ცნობიერების არასაკმარისი დონე, რაც მცირემიწიან ფერმერთა სიმრავლეშიც გამოიხატება (მუნიციპალიტეტში ფერმერთა 70%-80% მცირემიწიანია. საშუალოდ - თითოეულზე 1.25 ჰა.) და ასევე ცნობიერების ამაღლების სერვისების ნაკლებობა. სხვა ხელის შემშლელი ფაქტორებია: სათესლე მასალის, სასუქი მასალის და პესტიციდების, ხარისხის ნაკლებობა და მისი სიძვირე. აგრეთვე საწვავის (ბენზინი, დიზელი) არასტაბილური ფასი და მისი სიძვირე, სამელიორაციო სისტემების ნაკლებობა/გაუმართაობა. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობას დიდ საფრთხეს უქმნის სტიქიური უბედურებები (სეტყვა, წყალმოვარდნები და სხვ.) პრობლემის ნაწილობრივი გადაჭრა შესაძლებელია მოსავლის დროული სადაზღვევო მოქმედებების ხელშეწყობის და არხების/მდინარეების დროული გაწმენდის გზით.

მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის მოცულობას მნიშვნელოვანი წილი უკავია რეგიონის მთლიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ეს განსაკუთრებით ეხება მარცვლეულ კულტურებს - სიმინდს. მისი წარმოება ყოველწლიურად იზრდება. 2018 წლის მონაცემებით კახეთის რეგიონში ნაწარმოები სიმინდის 47%-ზე მეტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში იქნა მიღებული, ხოლო მთელი სახელმწიფოს მასშტაბით კი 26%-ზე მეტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დათესილი სიმიდის საერთო ფართობი შეადგენდა 13 360 ჰა.-ს და მიღებული მოსავალი ამ ფართობზე 69 000 ტონას. ხოლო 2018 წელს სიმინდი დაითესა 12 840 ჰა-ზე და მოსავალმა შეადგინა 89 880 ტ. ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს: ხილის, ბოსტნეულის, თხილის, ხორცისა და ყველის წარმოებას. თუმცა, ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ამ უკანასკნელთა რაოდენობა გაცილებით მწირია მოთხოვნასთან შედარებით და წარმოებული პროდუქცია ვერ აბალანსებს მუნიციპალიტეტის ბაზრის მოთხოვნებს, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში ხდება პროდუქციის გარედან შემოტანა.

მრეწველობის დარგში მოქმედი 74 მცირე და 1 საშუალო საწარმო წარმოდგენილია ღვინის და ლუდის ქარხნების, საშენი და ინერტული მასალების, ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის და ავეჯის საწარმოებით.

მუნიციპალიტეტში საექსპორტო პროდუქციის დინამიკა ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. განსაკითრებით აღსანიშნავია: სიმინდის, ხილ-ბოსტნეულის, თხილის, კენკროვანი

კულტურების, ღვინის და ლუდის ექსპორტის ზრდა, თუმცა დიდ პრობლემას წარმოადგენს სასაწყობე - სამაცივრე მეურნეობების არ არსებობა. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად წარმოადგენს პრობლემას სოფლის მეურნეობის პროდუქტების (ძირითადად ხილ-ბოსტნეული) გასაღება. ჭარბ პროდუქციას ვერ იტევს ადგილობრივი და სახელმწიფოს ბაზრები, ფერმერებს ვერ გააქვთ ექსპორტზე პროდუქტი და შედეგად აღნიშნული მოსავალი უფუჭდებათ მათ. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა აღნიშნული პროდუქციის ალტერნატიული გასაღების ბაზრების მოძიება ან ფართო სასაწყობე-სამაცივრე ქსელის განვითარება, რათა ხილ-ბოსტნეულის დეფიციტის ჩამოყალიბების შემთხვევაში შეივსოს ადგილობრივი ან საერთაშორისო ბაზრები და დაკმაყოფილდეს მოთხოვნა ამ პროდუქტზე. საჭიროა, აგრეთვე ბაზრის ანალიზისა და პროგნოზირების სტრუქტურირებული მექანიზმის შემუშავება, რათა დროულად მოხდეს პროდუქციის აღრიცხვა და ფასების პროგნოზი, რომ შემდეგ სწორად მოხდეს საჭირო (მოთხოვნადი) პროდუქციის ოპტიპალური რაოდენობის განსაზღვრა და ამ მონაცემების დაინტერესებულ მხარეთათვის მიწოდება.

2017 წლიდან 2019 წლის პირველი კვარტლის ჩათვლით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი მოდის სავაჭრო-მომსახურების ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე 64 ობიექტი. სოფლის მეურნეობის მიმართულებით (მარცვლეულის საწყობები, ფარდულები, სამაცივრე მეურნეობები, სატბურები) 25 ობიექტი, მცირე ზომის და სოფ. მეურნეობის საწარმოებზე ამ პერიოდში სულ 9 ნებართვაა გაცემული. მუნიციპალიტეტში საკომუნიკაციო ქსელების გაყვანის თაობაზე (სოკარი, მაგთი) 19 ნებართვაა გაცემული მუნიციპალიტეტის მერიაში. აგრეთვე, აღსანიშნავია კვების, სასტუმროების და მცირე მარნების სფეროს ობიექტების მშენებლიბა-რეკონსტრუქცია, რომელზეც 18 ნებართვაა გაცემული, ხოლო საგანმანათლებლო მიმართულებით 1 ნებართვა.

2017 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორში წლიურმა ბრუნვამ შეადგინა 59,1 მილიონი ლარი, რაც 11,4 მილიონი ლარით მეტია წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებაში. 2017 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობა შეადგენდა 39,8 მლიონ ლარს, რაც 9,4 მილიონი ლარით მეტი იყო წინა საანგარიშო წელთან შდარებით. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ოდენობა 2017 წელს შეადგენდა 1421-ადამიანს, რაც 2016 წელთან შედარებით მეტია 146 ადამიანით. რაც შეეხება დაქირავებულთა ოდენობას - 2017 წელს შეადგენდა 1246 ადამიანს, რაც აგრეთვე მეტია წინა წელთან შედარებით 390 ადამიანით. რეგიონში დაქირავებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს 554.1 ლარს, ხოლო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 373.9 ლარს, რაც რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მცირეა.

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები:

როგორც ცნობილია, ბიზნეს კომპანიებს შორის თანამშრომლობა ზოგადად, დადებითად აისახება კერძო სექტორის განვითარებაზე. თუმცა მსგავსი ქსელური ურთიერთობები ამჟამად ნაკლებადაა ჩამოყალიბებული ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. დღესდღეობით, მუნიციპალიტეტში კერძო/ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის, რაიმე კონკრეტული სტრუქტურული მექანიზმი ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა არსებობს მათთან ურთიერთობის სხვადასხვა ფორმები, რომელიც ძირითადად სპონტანურ ხასიათს ატარებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცოტახნის წინ მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით *facebook*-ზე შეიქმნა სპეციალური ჯგუფი ლაგოდეხის მეწარმეთათვის, რომელიც მიზნად ისახავს ლაგოდეხის მეწარმეთა ერთ სივრცეში გაერთიანებას, მათ ურთიერთთანამშრომლობას და მათი საჭიროებების/პრობლემების გაცნობას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გვერდი მეტწილად პასიურია. პასიურობენ მეწარმეებიც. მუნიციპალიტეტის მერია განაგრძობს მუშაობას, რათა აღნიშნულ სივრცეში დაამატონ ახალი წევრები და უფრო საინტერესო და სასარგებლო გახდეს ეს ინიციატივა, როგორც მეწარმეთათვის ასევე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის. მსგავსი პასიური ვითარებაა სოფლის მეურნეობის კუთხითაც. იმის მიუხედავად, რომ სოფლის მეურნეობაში არსებობს გარკვეული თანამშრომლობის გამოცდილება, რაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებობაში გამოიხატება, მაინც არ არსებობს მჭიდრო კავშირები ამ დარგში

მოქმედ პირთა შორის. მიუხედავად, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ინიციატივებისა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ამჟამად, მხოლოდ 1 მსხვილი და 6 მცირე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მოქმედებს, რაც შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ცოტაა ისეთ აგრარულ მუნიციპალიტეტში, როგორიც ლაგოდეხია. აქვე აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული კოოპერატივების რაოდენობა შემცირებულია, ანუ სტატუსი შეუჩერდა რამოდენიმე საწარმოს, რადგან მათ ვერ მოახერხეს განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება სახელმწიფოს მიმართ (მაგ: ვერ წარადგინეს სრულყოფილი დოკუმენტაცია; ვერ წარადგინეს ანგარიში განხორციელებული საქმიანობების შესახებ).

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წამომადგენლების ჩართულობით მუნიციპალიტეტში შექმნილია გენდერული საბჭო, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი თანამშრომლობის კუთხით. არსებობს სახელმწიფო და სამოქალაქო/კერძო სექტორებს შორისაც გარკვეული ტიპის თანამშრომლობის ფორმებიც და მიღწეულია გარკვეული შედეგებიც ერთობლივი პროექტების განხორციელების კუთხით.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება გამოთქვამს მუდმივ მზადყოფნას ბიზნეს და სამოქალაქო სექტორებთან სათანამშრომლოდ. ასევე, ადგილობრივი ხელისუფლება მუდმივი ძიების პროცესშია, რათა მოძიებულ იქნას გარკვეული მეგობრულ-პარტნიორული ფორმები, რომლის მეშვეობითაც მოხდება სხვადასხვა ბარიერების მოხსნა ხელისუფლებასა და კერძო სექტორებს შორის, რაც მნიშვნელოვნად დადებითად აისახება, როგორც კერძო სექტორის ზრდაზე ასევე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტზე. ეს თავი დაწერილია ადგილობრივი პარტნიორობის შეფასებაზე დაყრდნობით, ან გეგმის შემუშავებაში ჩართულ მხარეების შეფასების (იხ. დანართი დ. ადგილობრივი პარტნიორობის შეფასება) გათვალისწინებით.

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

მუნიციპალიტეტის მერიაში და საკრებულოში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონულად. მიღებული დოკუმენტი რეგისტრირდება სქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, რის გამოც შემცირებულია დოკუმენტბრუნვის დრო. ელექტრონული საქმიასწარმოების სისტემით მუნიციპალიტეტი უკავშირდება ყველა სამთავრობო ორგანოზაციას და სხვა საჯარო დაწესებულებებს. მოქმედებს მუნიციპალური ვებ-გვერდი და *facebook* გვერდი, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების სამსახურების, მათი მუშაობის და განხორციელებული აქტივობების შესახებ. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური ურთიერთობს ბიზნეს სექტორთან და ცდილობს მათთან მჭიდრო კომუნიკაციას და თანამშრომლობას, რაც კერძო სექტორის წარმომადგენლებისა და მოქალაქეების მხრიდანაც აღინიშნება, თუმცა უფრო მეტი არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურში მოქმედებს საერთაშორისო პროექტების და ტურიზმის განვითარების, ქონების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილებები. მუნიციპალიტეტის მერია, მოთხოვნისამებრ გასცემს ინფორმაციას და უწევს კონსულტაციებს ბიზნესის წარმომადგენლებს კანონით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის მერია ცდილობს ხელი შეუწყოს ბიზნეს სექტორის განვითარებას სხვადასხვა საქმიანობების განხორციელებით. თუმცა, ამჟამად აღნიშნული ქმედებები ძირითადად სპონტანურ ხასიათს ატარებს. მუნიციპალიტეტში განიხილება საკითხი შემუშავდეს ბიზნეს ხელშემწყობი სხვადასხვა პროგრამები. აგრეთვე, შეირჩეს კერძო სექტორთან თანამშრომლობის და ურთიერთობის ფორმები, გაუმჯობესდეს მათთან კომუნიკაცია და ასევე მოხდეს მათი უკეთ ინფორმირებულობა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებზე.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან სისტემაში, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი სატენდერო წინადადების წარდგენა და მოძიება.

სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება ატვირთულია აღნიშნულ სისტემაში. სააგენტოს დავების განხილვის საბჭო განიხილავს შესულ საჩივრებს. 2013 წლიდან მუნიციპალიტეტის ტენდერებთან დაკავშირებით სულ შესულია 20 საჩივარი. დადებითად დაკმაყოფიდა მხოლოდ 3. ხოლო, სამართლებრივი დავა არცერთ საქმეზე არ დაწყებულა.

მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორცილედება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალუ ვებ გვერდზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები ღიაა მოქალაქეებისათვის და მათ შეუძლიათ სურვილისამებრ დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და წარმოადგინონ ინიციატივები. თუმცა, ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან საკრებულოსადმი მიმართვების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. (იხ. დანართი „ე“).

6.4 ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

მუნიციპალიტეტში არსებული საფინანსო ინსტიტუტების სიმრავლიდან გამომდინარე ფინანსური რესურსების შესახებ ინფორმაცია არ არის მწირი და დაინტერესების შემთხვევაში ადვილად შესაძლებელია ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება. თუმცა ინფორმაციის მოძიების გამარტივება უფრო მეტად წაადგება დაინტერესებულ მხარეს და აქედან გამომდინარე უფრო მეტად წაადგება ბიზნეს სექტორის განვითარებას. რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამებს, მათი არსებობა და მათ ვებ-გვერდებზე ინფორმაციის გამოქვეყნების მიუხედავად, აღნიშნული მონაცემები ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი და საჭიროებს დაზუსტებებს. ანუ გამოდის, რომ მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორი სახელმწიფო საფინანსო პროგრამების შესახებ უფრო ნაკლებად არის ინფორმირებული ვიდრე საბანკო სექტორის შესახებ. მუნიციპალიტეტში ასევე მოქმედებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლობა, რომელთა მხრიდანაც სამინისტროს ხელშეწყობით განსახორციელებელ პროექტებზე მოსახლეობის ინფორმირება არ არის საკმარისი. იმის გამო, რომ სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის ზოგიერთი პროცედურა ბიუროკრატიულია და ხშირ შემთხვევაში დროში იწელება, კერძო სექტორი არჩევს საკუთარი შეზღუდული რესურსებით განხორციელოს დაწყებული საქმე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემს სესხებს მცირე ბიზნეს კომპანიებისა და აგროსექტორისათვის 50-დან 50 000 ლარამდე (ყველა ბანკში სხვადახსვანაირად) ყოველგვარი გირაოს და უზრუნველყოფის გარეშე. ბანკებში სესხები გაიცემა როგორც ძირითადი საშუალებების შესაძენად ასევე საოპერაციო ხარჯებისა და საბრუნავი საშუალებებისთვის. სამეწარმეო საქმიანობას და ბიზნესს მძიმე ტვირთად აწვება სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი. ასევე, ბანკები არ აფინანსებენ სტარტაპს, თუ უკვე რაიმე სახის ინვესტიცია არ არის ჩადებული ბიზნეს საქმიანობაში.

არსებობს ცალკეული შემთხვევებიც, როცა სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მერუნეობის დარგში არსებულ პროექტებში დაფინანსების პროცესები ჭიანურდება სხვადასხვა მიზეზის გამო და მეწარმეები აგრო ვადებში ვეღარ ეტევიან, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიგ შემთხვევებში ეს არ არის ცალმხრივი პრობლემა. აღსანიშნავია ისიც, რომ არ ხდება ფერმერთა დროული დაზღვევა, რაც მათთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორი საჭიროებს პლატფორმას სადაც, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს ექნებათ საშუალება, მიიღონ დეტალური ინფორმაცია ფინანსური სახსრების მოძიების და ხელმისაწვდომობის შესახებ (იხილეთ დანართი „ვ“).

6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა

ბიზნესის და სამეწარმეო საქმიანობის განვითარება წარმოუდგენელია მიწისა და ინფრასტრუქტურის გარეშე. დაინტერესებული პირები მიმართავენ მერიას მიწის ან ინფრასტრუქტურის გამოყენების მოთხოვნით და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ხდება ადექვატური რეაგირება ამ მოთხოვნაზე შესაბამისი პროცედურების გავლით. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის და ქონების აღწერას. მოთხოვნის შემთხვევაში კი, დაურეგისტრირებელი მიწების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას და საკუთრებაში არსებულის შენობება-ნაგებობების ინვენტარიზაციას. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ბარის ზონაში რეგისტრირებულია 23 ჰა. სახნავი მიწა. ალპურ ზონაში 972 ჰა. საძოვარი და ბარის საძოვრები 473 ჰა. არასასოფლო დანიშნულების მიწა 60 ჰა და 108 ერთეული შენობა-ნაგებობა, რომელთაგან დატვირთულია 80% სხვადასხვა დაწესებულების მიერ, ხოლო დანარჩენზე მოთხოვნა არ არსებობს.

2018 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობია 38 949 ჰა, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 27 523 ჰა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია 1468 ჰა, ხოლო დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა, რომლებზეც ჯერჯერობით მოთხოვნა არ არსებობს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შემდეგნაირად არის განაწილებული: 1 წლიანი კულტურები-5868 ჰა, ვენახი-1676 ჰა, კაკლოვანი კულტურები-1107 ჰა, კენკროვანი კულტურები-36.7 ჰა, კურკოვან-თესლოვანი კულტურები-602.5 ჰა, მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები-15922 ჰა, სუბტროპიკული ხილი-1239 ჰა (იხილეთ დანართ „ზ“).

უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს სასოფლო-სამეურნეო კატეგორიის მიწების გარკვეული რეზერვი. შესაძლებელია გამოვლენილი სახნავი დაურეგისტრირებელი მიწების მუნიციპალურ საკუთრებაში დარეგისტრირება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სახნავი კატეგორიის მიწების ფართობი გაიზრდება მნიშვნელოვნად და შემდგომში შესაძლებელი იქნება ამ მიწების იჯარით გაცემა. ე. ი. ისარგებლებს ფერმერი (ადგილობრივი მოსახლეობა), ხოლო ბიუჯეტში კი მოიზიდავს დამატებით სახსრებს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ხშირად ფერხდება არსებული ქონების პრივატიზების და იჯარით გაცემის საკითხი. მუნიციპალიტეტს არააქვს უფლება დამოუკიდებლად მოახდინოს სამუშაოების შესყიდვა და გააფორმოს ხელშეკრულება შესაბამის სამსახურებთან (ქონების ექსპერტიზა, აუდიტი საკადასტრო აზომვითი ნახაზები და ა. შ.), რაც დროში წელავს საქმეს. მეწარმე კი ამდენი ლოდინის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში აცხადებს უარს მოთხოვნილ ობიექტზე.

აღსანიშნავია, რომ მერია დაინტერესებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნას ბიზნეს ინკუბატორი ან ინოვაციების ცენტრი, რომელზეც დაწყებულია მოლაპარაკებები ს. ს. ი. პ. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან. ასევე, აგროსექტორის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის შექმნა, რაზეც ასევე დაინტერესებულია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, მუნიციპალიტეტის მზაობა კომუნიკაციებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის შეძლებისდაგვარად მოწყობის თვალსაზრისით, რაც კერძო სექტორისათვის ერთობ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

6.6 მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო

მიუხედავად გარკვეული პროცედურების გამარტივებისა, მუნიციპალიტეტში ბიზნესის უკეთ განვითარებისთვის და მისი გამარტივებისათვის, მაინც არსებობს გარკვეული დაბრკოლებები. არსებობს გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერები, საკანონმდებლო რეგულაციები და ადმინისტრაციული წესები. ერთ-ერთი პრობლემა არის მშენებლობის ნებარვის გაცემის

პროცედურებსა და ვადებში, რომელიც რიგ შემთხვევაში იწელება უწყებებს შორის კოორდინაციის ან შესაბამისი კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობის გამო. აგრეთვე გამოვლინდა პრობლემა საოჯახო და კერძო სასტუმროების შემთხვევაში. კერძოდ, რიგ შემთხვევაში საერთაშორისო რუკებზე არ არის დატანილი სწორი მისამართები, რაც ტურისტს ხელს უშლის კოორდინაციაში და მისამართის მიგნებაში. ასევე, სასტუმროებს გარკვეულ პრობლემებს უქმნის კომუნალური გადასახადების (ნაგავი, წყალი) მაღალი და არასეზონური ტარიფი. კერძოდ, მუნიციპალიტეტში მოქმედი სასტუმროები ნარჩენებზე გადასახადს იხდის წლის განმავლობაში საწოლი ადგილების რაოდენობის მიხედვით, რაც მათი მოსაზრებით არასწორია, რადგან ზამთრის პერიოდში არ მუშაობენ სრული დატვირთვით და მათ სურთ, რომ აღნიშნული გადასახადი იყოს სეზონური.

კიდევ ერთ გამოწვევად შეგვიძლია, რომ ჩავთვალოთ სახელმწიფო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის აღების გართულებული პროცედურები. გამარტივებული პროცედურები მნიშვნელოვნად წაადგებოდა მუნიციპალიტეტს, როგორც მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების, ასევე მდინარის კალაპოტის გასუფთავების მხრივ (იხილეთ დანართ „თ“).

ისევე, როგორც სხვა ბევრ მუნიციპალიტეტში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტშიც ამჟამად არ არის შემუშავებული: სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების პროგრამები და სტრატეგიები. ასევე, შესამუშავებელი და დასამტკიცებელია მარკეტინგული სტრატეგია და სტარტაპერების ხელშემწყობი პროგრამები.

6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტიც ისევე, როგორც სხვა მრავალი მუნიციპალიტეტი განიცდის კვალიფიციური კადრების ნაკლებობას, რაც შესაბამისად აისახება მუნიციპალიტეტის განვითარებაზე. კადრების ნაკლებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მცირე სამუშაო ადგილები და დაბალ ანაზღაურებადი სამსახურები. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობს მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ მოძებნოს მისთვის სასურველი სამუშაო, რაც მიგრაციის მაჩვენებლებშიც კარგად ჩანს.

აღნიშნული მდგომარეობა ადგილობრივი ხელისუფლების გამოწვევაა და აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ეძებს გზებს სამუშაო ადგილების მაძიებელთა დასახმარებლად, რაც შესაბამისად მომავალში დადებითად აისახება მოსახლეობის მიგრაციაზე მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პირობებში მოთხოვნა მომსახურე კვალიფიციურ პერსონალზე დიდია. მოთხოვნადია: მზარეულები, ვტერინარები, ფინანსისტები, იურისტები, მშენებელ-ინჟინრები, სანტექნიკოსები, აგრონომები, ავტო-ტექ მომსახურების სპეციალისტები, უცხო ენების მცოდნე გიდები და სხვა კადრები. ფაქტობრივად მოთხოვნაა კვალიფიციურ კადრებზე თითქმის ყველა სექტორში, თუმცა იმის გამო, რომ ადგილობრივ შრომის ბაზარზე დაბალია შრომის ანაზღაურება (2019 წლის მონაცემებით დაქირავებულთა შრომის ანაზღაურების საშუალო ოდენობა შადგენს 373,90 ლარს) მუნიციპალიტეტიდან გადინებულია მრავალი შრომისუნარიანი და კვალიფიციური კადრი ან, სხვა სამუშაოს მიჰყვეს მათ ხელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ მუდმივად საჭიროა მომსახურების სფეროში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება (დატრეინინგება) ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ნეთვორქინგი, გაყიდვები, მარკეტინგი, სერვის „+“ და სხვ.

დასაქმების მაძიებლები ძირითადად რეგისტრირდებიან სოც. მომსახუების სააგენტოს ბაზაზე არსებულ ელექტრონულ სისტემაში www.worknet.gov.ge. სადაც, მუნიციპალიტეტიდან დარეგისტრირებულია 2000-ზე მეტი პირი, რომელთაგან რამოდენიმე უკვე დაკმაყოფილდა სამუშაო ადგილით. დასაქმების მსურველები პირადი კონტაქტებით და ინტერნეტის მეშვეობით იძიებენ ვაკანსიებს, ან მიმართავენ მუნიციპალიტეტს დასახმარებლად, რათა დარეგისტრირდნენ ზემოთ მოცემულ საიტზე. ასევე, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კოლეჯი „აისი“, სადაც ამჟამად სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმდინარეობს სწავლება. ესენია: 1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი; 2. სატყეო საქმე; 3. თაბაშირ-მუყაოს

კონსტრუქციების მონტაჟი. აღნიშნული კოლეჯი მომავალში გეგმავს დაამატოს სხვა პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებიც.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ცოდნის ასამაღლებელ ღონისძიებებს სპონტანური ხასიათი აქვს. ნაკლებად არის ამ კუთხით კოორდინაცია მუნიციპალიტეტს, ბიზნეს სექტორს და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. ზოგიერთი ბიზნეს კომპანია პერსონალის მომზადება/გადამზადებას უზრუნველყოფს პერიოდულად, საკუთარი ბიზნეს-საჭიროებების მიხედვით და მას არ აქვს ორგანიზებული ხასიათი.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებით, კლიმატური პირობებით და სტუმართ-მასპინძლური ტრადიციებით გასაკუთრებულია. ასევე, აქ წარმოდგენილია მრავალფეროვანი ეთნოკულტურული ტრადიცია. ყოველივე ეს კი, განსაკუთრებულ ელფერს სძენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს და მიმზიდველ, სასურველ ადგილად წარმოაჩენს ყველა წრის თუ ეროვნების ადამიანთათვის რეგიონშიც და მის ფარგლებს გარეთაც. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი პერსპექტიულ კუთხედ ითვლება ტურისტებისთვის.

2016 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა (საქართველო) და ვილიანის რეგიონმა (ლატვია) ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რაც ასევე დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის ცნობადობაზე. შესაბამისად ყოველწლიურად მზარდია ქართველ და უცხოელ ტურისტთა რიცხვი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში.

იზრდება დაინტერესება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიმართ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების მხრიდან, რამაც გამოიწვია საოჯახო სასტუმროების გაფართოვება კერძო სასტუმროების მშენებლობის დაწყება, მცირე-საოჯახო და მსხვილი მარნების მოწყობა და სხვ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოსაგვარებელია მუნიციპალიტეტის და მისი სხვადასხვა ტერიტორიის ბრენდირების საკითხი, რაც გამოიწვევს კონკრეტული ადგილმდებარეობის და ამ ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციას.

ასევე აღსანიშნავია, რომ ლაგოდეხის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია ტურისტული საინფორმაციო ცენტრის გახსნით, რაც შესაბამისად დადებითად იმოქმედებს მუნიციპალიტეტში ტურისტული ნაკადების ზრდაზე. გარდა ამისა, ლაგოდეხის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია ტურისტული-სარეკრეაციო სივრცეების შექმნით. ამ კონკრეტული მიზნისთვის გამოყოფილი ადგილმდებარეობების (1. ქ. ლაგოდეხის ტყე პარკი და 2. ქ. ლაგოდეხის ყოფილი პოლკოვის ბაღის ტერიტორია) განვითარებისათვის საჭიროა ჯამში დაახლოებით 8 500 000 ლარი (2 833 400 ევრო), რისი საშუალებაც ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტს არ აქვს. დაგეგმილია ამ ტერიტორიების განვითარების გეგმების მომზადება, რისთვისაც გამოიყოფა 330 000 ლარი (110 000 ევრო).

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოცემული გეგმის განხორციელება დადებითად აისახება მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

7. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები

✓ გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და მიმზიდველი კლიმატური პირობები ✓ ნაყოფიერი ნიადაგი და სოფლის მეურნეობის დარგების მრავალფეროვნება ✓ ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების სიმრავლე ✓ მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა ✓ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების არსებობა ✓ საკომუნიკაციო ქსელების არსებობა ✓ ჯანდაცვის ობიექტების არსებობა ✓ ბუნებრივი ლანდშაფტი, დაცული ტერიტორიები, დიდი ბიომრავალფეროვნება ✓ ჰიდროლოგიური რესურსების სიუხვე. მათ შორის, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი (ბალნეოლოგიური) წყლები/წყაროები, ბუნებრივი წყაროები, ჭაბურღილები. საირიგაციო სისტემების არსებობა ✓ ეთნიკურ-ეთნოგრაფიულად მრავალფეროვანი მოსახლეობა. მათი სტუმართმოყვარეობა, კულტურა და ტრადიციები ✓ ადგილობრივი ხელისუფლების მზაობა საზოგადოების ყველა სექტორის ჩართთულობისა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური (და არა მხოლოდ ეკონომიკური) მდგომარეობის წინსვლისთვის	✓ მუნიციპალიტეტის არასაკმარისი ცნობადობა ✓ არასაკმარისად გამართული საგზაო და ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის შეზღუდული ბიუჯეტი ✓ ტურისტული მომსახურების და მათთან კომუნიკაციის არასათანადო ხარისხი ✓ გასართობი ადგილების, არასაკმარისი რაოდენობა ✓ სამეწარმეო განათლების არასათანადო დონე ✓ ბიზნეს ინკუბაატორის/აქსელერატორის არარსებობა ✓ ინვესტიციებისა და ფინანსური ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ✓ ნაკლებად ხელმისაწვდომი სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და სერვისები ✓ სამუშაო ადგილების სიმცირე. სამუშაო ადგილების არასაკმარისი რაოდენობა ✓ ადგილობრივი შრომისუნარიანი კადრების მიგრაცია ✓ საძოვრების სიმწირე და მიწის ეროზია ✓ ვეტერინარული მომსახურებისა და პირუტყვის სელექციის არარსებობა. მცენარეთა/ცხოველთა დაავადებების გავრცელება, პესტიციდების სიძვირე ✓ სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის არარსებობა ✓ ალტერნატიული ენერგორესურსების გამოუყენებლობა და ცნობადობის დაბალი დონე ამ კუთხით ✓ არასტაბილური და მოუწესრიგებელი საბაზრო სისტემა ✓ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობა და სამაცივრე მეურნეობების ნაკლებობა ✓ ფერმერთა კოოპერატივების ნაკლებობა და სისუსტე
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
✓ სახელმწიფოში მოქმედი ბიზნეს ხელშემწყობი პროექტების არსებობა	✓ სოფლის მეურნეობაში გავრცელებული მავნებლები. მცენარეთა და პირუტყვთა დაავადებები

✓ სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა ✓ მუნიციპალიტეტის ცნოდადობის გაზრდა და ტურისტების ზრდის მაღალი ტენდენცია ✓ მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტზე მზარდი მოთხოვნა ✓ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა ✓ ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა და ბიზნესის დაწყების სიიოლე ✓ ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სირცე, პროდუქციის ექსპორტირების შესაძლებლობა ✓ ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით შესაბამისი პროგრამების მომზადება ✓ ტურისტული და გასართობი სივრცეების მოწყობა ✓ საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია ✓ სასოფლო-სამეურნეო მიწების რესურსი ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ფერმები ✓ ახალი ტურისტული ბილიკების განვითარების შესაძლებლობების მაღალი პოტენციალი ✓ სამკურნალო არტეზიული წყლების არსებობა ✓ ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების პოტენციალი	✓ იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დაბალი ფასი ✓ ქვეყანაში მიგრაციის მაღალი ტენდენცია ✓ ბუნებრივი კატასტროფები, მათ შორის, მეწყრები, წყალდიდობები, გვალვები ✓ მდინარეებზე არასაკმარისი ნაპირდამცავი ნაგებობები, რის გამოც მუდმივად ზიანდება სასოფლო-სამეურნეო მიწები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისთვის ძლიერ მხარეს წარმოადგენს: მისი გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, დაცული ტერიტორიები, მტკნარი წყლების სიუხვე, სასოფლო სამეურნეო მიწების სტრუქტურა, ეთნოკულტურული ტრადიციები და სხვ. აქედან გამომდინარე საჭიროა ამ რესურსის მაქსიმალურად ათვისებით მოხდეს იმ სისუსტეების აღმოფხვრა, რაც მუნიციპალიტეტს ეკონომიკური განვითარების კუთხით უშლის ხელს. მაგალითად საჭიროა სხვადასხვა მეთოდებით მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა, რაც ვიზიტორთა რაოდენობის მატებას შეუწყობს ხელს და გაზრდის პოტენციური ინვესტორების დაინტერესებას მუნიციპალიტეტის მიმართ. ასევე, აგრარული მიმართულებებით ცნობიერების გაზრდა და საჭირო ტექნოლოგიების დანერგვა, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებას შეუწყობს ხელს და სხვ. ამ საქმიანობების სწორად წარმართვისა და ხელშეწყობისათვის აუცილებელია იმ საფრთხეების გათვალისწინება, რომელიც ხელს უშლის დარგების განვითარებას. მაგალითად: სტიქიური მოვლენების მხრივ პრევენციული ღონისძიებების, მიგრაციის შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება და სხვ.

8. ხედვა და მიზნები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ბიზნეს გარემო მიმზიდველია ადგილობრივი ბიზნესისა და უცხოელი ინვესტორებისათვის, დივერსიფიცირებული ეკონომიკა და ადგილობრივი მოსახლეობის უნარები იძლევა დასაქმების შესაძლებლობას.

აღნიშნული ხედვა გრძელვადიანია. სასურველი შედეგის მიღწევას საჯარო, კერძო და სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევა დასჭირდება. მისი მიღწევა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ორწლიან პერიოდს მნიშვნელოვნად გასცდება.

მიზნები:

1. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
2. უნარების განვითრების ხელშეწყობა
3. სოფლის მეურნეობის განვითრების ხელშეწყობა

9. სამოქმედო გეგმა

აღნიშნული სამოქმედო გეგმა შემუშავდა პარტნიორობისა და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რომელიც მათივე აქტიური ჩართულობით განხორციელდება მოცემულ ვადებში. ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობაზე. სამოქმედო გეგმაში გაწერილი ქმედებების განხორციელებაზე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი პირია მუნიციპალიტეტის მერია და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. საფინანსო სამსახური; ეკონომიკის სამსახური; სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური; ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური.

თემატური ბლოკები	*ძირითადი მიზნები*	*ქმედებები/პროექტის იდეები*	*ხანგრძლივობა (დაწყება/ დამთავრება)*	*მონაწილე პარტნიორები*	*სავარაუდო ღირებულება (ეროვნულ ვალუტაში & ევროს ექვივალენტი)*	*მყისიერი შედეგი (პროდუქტი) ინდიკატორები და მიზნები*	*საბოლოო შედეგიშედეგები / ინდიკატორები და მიზნები*
1. გარეპოზიციონირება და მარკეტინგი	1. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	1.1. ქ. ლაგოდეხში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის გახსნა	01/2020-08/2020	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია; საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	15 000 ლარი 5 000 ევრო	მოწყობილია ტურისტული საინფორმაციო ცენტრი/მოწყობილი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის პროექტთან შესაბამისობა	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა. ტურისტებისა და ვიზიტორებისთვის საინფორმაციო მომსახურება ხდება ერთ სივრცეში. ტურისტების მომსახურების ხარისხი გაზრდილია. გაზრდილია ტურისტული ობიექტების პოპულარიზაცია და მუნიციპალიტეტში ტურისტების რაოდენობა, წელიწადში დაახლოებით 50 000 – 60 000 ვიზიტორი / საინფორმაციო ცენტრით მოსარგებლეთა რაოდენობა, ტურისტების კმაყოფილების ხარისხის ზრდა, ტურისტულ ობიექტებით მოსარგებლეთა ზრდა.
		1.2. ტურისტული მარშრუტის მომზადება ლაგოდეხში	04/2020-08/2021	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია	30 000 ლარი 10 000 ევრო	მოწყობილია ახალი ტურისტული ბილიკი-ადგილი/შექმნილი სივრცის პროექტთან შესაბამისობა/ ტურისტული საჭიროებების გათვლით შექმნილი და მოწესრიგებულია ტურისტული ინფრასტრუქტურა/განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა; ახალი ტურის-ტული	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა; მომატებულია ვიზიტორთა რაოდენობა / სასტუმროებში დაბინავებული ვიზიტორთა ოდენობა; სამუშაო ადგილების ზრდა; ტურისტულ ობიექტებით მოსარგებლეთა ზრდა/ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა მუნიციპალიტეტში

						სივრცის შექმნა;	
		1.3. ქ. ლაგოდეხის ტყე-პარკის ტოპო-რუკის და განვითარების გეგმის მომზადება	02/2020 - 08/2021	ლაგოდეხის მუნიცი-პალიტეტის მერია; LAG – ლაგოდეხის განვითარების ჯგუფი	180 000 ლარი 60 000 ევრო	მომზადებულია ლაგოდეხის ტყე-პარკის განვითარების პროექტი / ტყე პარკის სარეკრეაციო-გასართობი სივრცით მოსარგებლეთა ოდენობა / ტყე-პარკის განვითარების გეგმის მომზადება	განვითარებულია ტურისტული ინფრასტრუქტურა; გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა; მომატებულია ტურისტთა ნაკადები / ტყე-პარკში გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა / მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია;
		1.4. საინფორმაციო ტურების მოწყობა ლაგოდეხში	01/2020 – 06/2021	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია	6 000 ლარი 2 000 ევრო	მოწყობილია ინფო-ტურები / ინფო-ტურში მონაწილეთა რაოდენობა / ლაგოდეხის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით ინფო-ტურების მოწყობა	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა; მომსტებულია ვიზიტორთა რიცხვი / ინფო ტურის კმაყოფილი მონაწილეები; ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა / ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის დადებითი დინამიკა
		1.5 ქ. ლაგოდეხის ყოფილი პოლკოვის ბაღის ტოპო- რუკის და განვითარების გეგმის მომზადება	02/2020 – 08/2021	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია	150 000 ლარი 50 000 ევრო	მომზადებულია ლაგოდეხის ყოფილი პოლკოვის ბაღის განვითარების პროექტი / ტერიტორიაზე არსებული სარეკრეაციო-გასართობი სივრცით მოსარგებლეთა ოდენობა / ტყე-პარკის განვითარების გეგმის მომზადება	განვითარებულია ტურისტული ინფრასტრუქტურა; გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა; მომატებულია ტურისტთა ნაკადები / პარკის ტერიტორიაზე გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა / მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია;

2. უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება	2. უნარების განვითარების ხელშეწყობა	2.1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ტრეინინგების ჩატარება სამუშაოს მაძიებელთათვის	01/2020 - 08/2021	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია	3 000 ლარი 1 000 ევრო	გადამზადებულია სამუშაოს მაძიებელთა ჯგუფები: ახალგაზრდები, ქალები, შშმ პირები და სხვ. სამუშაოს მაძიებელთათვის უნარების განვითარება ახალგაზრდების, ქალების, შშმ პირებისა და სხვა ჯგუფების დასაქმების შესაძლებლობის ზრდა / ჩატარებული სასწავლო შეხვედრების/ მონაწილეთა	ტრეინინგის მონაწილეები დასაქმდნენ; გაზრდილია სამუშაოს მაძიებელთა ცნობიერება / ცნობიერება ამაღლებულ პირთა ოდენობა და მათგან დასასაქმებულ პირთა ოდენობა; გაზრდილი სამუშაოს მაძიებელთა ტრეინინგზე დასწრების მსურველთა რიცხვი / დასაქმების ხელშეწყობა
		2.2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ტრეინინგების ჩატარება სასტუმროთა და მომსახურების ობიექტების პერსონალისათვის	01/2020 - 08/2021	ლაგოდეხის მუნიცი-პალიტეტის მერია; საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	15 000 ლარი 5000 ევრო	ჩატარებულია ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები; გადამზადებულია მომსახურების ობიექტთა პერსონალი / ტრენინგებისა და სამუშაო შეხხვედრების ოდენობა; გადამზადებულ პირთა ოდენობა / ბიზნესის წარმოების ხელშეწყობა	ტურიზმის სექტორში მომუშავე კადრების ცნობიერება ამაღლებულია; გაუმჯობესებულია მომსახურების ხარისხი; გაზრდილია ტურისტთა კმაყოფილება; გამარტივებულია ტურისტების მოზიდვა; გაზრდილია ტურისსტული ნაკადები /ტენინგებისა და სამუშაო შხვედრების მონაწილე მსურველთა ოდენობა; ცნობიერება ამაღლებულ მონაწილეთა ოდენობა, ტურისტების კმაყოფილების ხარისხი; ტურისტული ნაკადების ოდენობა / კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა
3. მიწა და ინფრასტრუქტურა; 5.გარეპოზიციონირება და მარკეტინგი	3. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	3.1. ღვინის მარნების ხელშეწყობა	01/2020 – 08/2021	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია; DMO - დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	788 961 ლარი 262 987 ევრო	მიღებულია მონაწილეობა შერჩეულ ფესტივალებში, გამოფენა ბაზრობებში / ფესტივალებში და გამოფენა ბაზრობებში მონაწილეთა ოდენობა / ბიზნესის, წარმოების ხელშეწყობა / ღვინის მარნებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა; ადგილობრივი წარმოების პროდუქციის შესახებ ინფორმირებულია ფართო მასები; მომატებულია ტურისტული ნაკადები / ფესტივალებსა და გამოფენა ბაზრობებში მონაწილე მსურველთა ოდენობა; საცნობარო-სარეკლამო მასალების გაზრდილი რაოდენობა; ტურისტული ნაკდები დინამიკაში / კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა
		3.2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების (სასოფლო-სამეურნეო დაურეგისტრირებელი) აღწერა და საიჯაროდ მომზადება	09/2020 - 08/2021	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია;	5 000 ლარი 1 700 ევრო	აღწერილია დაურეგისტრირებელი ქონება / აღწერილი მიწის ფართობი / დაურეგისტრირებელი სასოფლო მიწების აღწერა	გაზრდილია სამეწარმეო საქმიანობა; გაზრდილია საწარმოების შემოსავლები; შექმნილია სამუშაო ადგილები / სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების ოდენობა; გაზრდილი სამუშაო ადგილების რაოდენობა / ინვესტიციების განხორციელების ხელმისაწვდომობა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

10. დაფინანსების სქემა

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმაში გაწერილი ქმედებების საორიენტაციო ბიუჯეტია 1 192 961 ლარი - 397 687 ევრო. სამოქმედო გეგმის ქმედებებისთვის გათვლილი სახსრების 34.04% დაიხარჯება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. მაღალი დონის (საჯარო) ბიუჯეტიდან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია მთლიანი ბიუჯეტის 64.86%.

ღონისძიებები	საორიენტაციო ღირებულება	დაფინანსების წყარო				წყვეტა დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1. ქ. ლაგოდეხში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის გახსნა	15 000 ლარი 5 000 ევრო		15 000 ლარი 5 000 ევრო				
2. ტურისტული მარშრუტის მომზადება ლაგოდეხში	30 000 ლარი 10 000 ევრო	30 000 ლარი 10 000 ევრო					
3. ქ. ლაგოდეხის ტყე-პარკის ტოპო-რუკის და განვითარების გეგმის მომზადება	180 000 ლარი 60 000 ევრო	173 000 ლარი 57 700 ევრო			7 000 ლარი 2 300 ევრო		
4. საინფორმაციო ტურების მოწყობა ლაგოდეხში	6 000 ლარი 2 000 ევრო	6 000 ლარი 2 000 ევრო					
5. ქ. ლაგოდეხის ყოფილი პოლკოვის ბაღის ტოპო-რუკის და განვითარების გეგმის მომზადება	150 000 ლარი 50 000 ევრო	150 000 ლარი 50 000 ევრო					
6. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ტრეინინგების ჩატარება სამუშაოს მაძიებელთათვის	3 000 ლარი 1 000 ევრო	3 000 ლარი 1 000 ევრო					
7. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ტრეინინგების ჩატარება სასტუმროთა და მომსახურების ობიექტების პერსონალისათვის	15 000 ლარი 5 000 ევრო		15 000 ლარი 5 000 ევრო				

8. ღვინის მარნების ხელშეწყობა	788 961 ლარი 262 987 ევრო	39 149 ლარი 13 050 ევრო	743 812 ლარი 247 937 ევრო		6 000 ლარი 2 000 ევრო		
9. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების (სასოფლო-სამეურნეო დაურეგისტრირებელი) აღწერა და საიჯაროდ მომზადება	5 000 ლარი 1 700 ევრო	5 000 ლარი 1 700 ევრო					
ჯამი	**1 192 961 ლარი** **397 687 ევრო**	**406 149 ლარი** **135 450 ევრო**	**773 812 ლარი** **257 937 ევრო**		**13 000 ლარი** **4 300 ევრო**		

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის „ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმის“ ფარგლებში პარტნიორულ ურთიერთობებზე შექმნილ საკონსულტაციო საბჭოში შეიქმნება შიდა მონიტორინგის კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მოცემული ქმედებების შესრულებას აღნიშნულ ვადებში. კომიტეტში დაცული იქნება გენდერული, საჯარო და კერძო სექტორების მონაწილეობის ბალანსი.

ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)	მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6	მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12	მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18	მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24
1. ქ. ლაგოდეხში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის გახსნა	01/2020-08/2020	ჩატარდა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის გასახსნელად შენობის მომზადება - რეკონსტრუქცია	განხორციელდა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შენობისთვის ინვენტარის და ტექნიკის შეძენა - განთავსება; საზეიმოდ გაიხსნა ტურისტული საინფორმაციო ცენტრი და მოხდა ვიზიტორთა		

			მომსახურება		
2. ტურისტული მარშრუტის მომზადება ლაგოდეხში	04/2020-08/2021		ტურისტული მარშრუტისათვის შეირჩა ადგილმდებარეობდა და მომზადდა ტერიტორია სამუშაოებისათვის; მოხდა ტექნიკისა და მუშა ხელის მობილიზება; გამოცხადდა ტენდერი	დაიწყო სარემონტო-სარეკოსსტრუქციო სამუშაოები მარშრუტზე; სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო ტურისტული ბილიკი	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად მოხდა ბილიკის მარკირება; განთავსდა სხვადასხვა საინფორმაციო მაჩვენებლები და ნიშნები; საზეიმოდ გაიხსნა ტურისტული ბილიკი და მიღებულია პირველი ვიზიტორები
3. ქ. ლაგოდეხის ტყე-პარკის ტოპო-რუკის და განვითარების გეგმის მომზადება	02/2020 -08/2021	მოხდა ტყე-პარკის ტერიტორიის მონახულება და ადგილების მონიშვნა	მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია; გამოცხადდა ტენდერები ტოპო-რუკის და განვითარების გეგმის მომზადებაზე	გამოვლენილია გამარჯვებული კომპანიები, მომზადდა მონიშნული ტერიტორია და ადგილები; დაწყებულია გათვალისწინებული სამუშაოები	გამარჯვებულმა კომპანიებმა მოახდინეს მათზე დაკისრებული სამუშაოების განსაზღვრულ ვადებში შესრულება გათვალისწინებული ნორმაბის მიხედვით; მომზადებულია ქ. ლაგოდეხის ტყე პარკის ტოპო-რუკა და განვითარების გეგმა
4. საინფორმაციო ტურების მოწყობა ლაგოდეხში	01/2020 – 06/2021	დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები საინფორმაციო ტურის ჩასატარებლად	განხორციელდა საორგანიზაციო სამუშაოები; დაიგეგმა ინფო-ტურის ჩატარების ადგილი და თარიღი; მოწვეულ ტურისტულ	დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები საინფორმაციო ტურის ჩასატარებლად	განხორციელდა საორგანიზაციო სამუშაოები; დაიგეგმა ინფო-ტურის ჩატარების ადგილი და თარიღი; მოწვეულ

			ორგანიზაციებთან ერთად ჩატარდა საინფორმაციო ტური		ტურისტულ ორგანიზაციებთან ერთად ჩატარდა საინფორმაციო ტური
5. ქ. ლაგოდეხის ყოფილი პოლკოვის ბაღის ტოპო-რუკის და განვითარების გეგმის მომზადება	02/2020 – 08/2021	მოხდა პარკის ტერიტორიის მონახულება და ადგილების მონიშვნა	მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია; გამოცხადდა ტენდერები ტოპო რუკის და განვითარების გეგმის მომზადებაზე	გამოვლენილია გამარჯვებული კომპანიები, მომზადდა მონიშნული ტერიტორია და ადგილები; დაწყებულია გათვალისწინებული სამუშაოები	გამარჯვებულმა კომპანიებმა მოახდინეს მათზე დაკისრებული სამუშაოების განსაზღვრულ ვადებში შესრულება გათვალისწინებული ნორმაბის მიხედვით; მომზადებულია ქ. ლაგოდეხის ყოფ. პოლკოვის ბაღის ტოპო-რუკა და განვითარების გეგმა
6. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ტრეინინგების ჩატარება სამუშაოს მაძიებელთათვის	01/2020 -08/2021	მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე შერჩეულია სამიზნე ჯგუფები და სატრეინინგო თემები (1. პროგრამის პრეზენტაცია; მონაწილეთა გაცნობა; ინფორმაციის მოძიება ვაკანსიების შესახებ დასაქმებისათვის. დასაქმებისათვის არსებული რეალობის ანალიზი. 2. ეფექტური CV_ის შედგენა; ოფიციალური მიმოწერა პოტენციურ	ჯგუფებთან ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, გადამზადებულია 25 მონაწილე	შერჩეულია სატრეინინგო თემები და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, გადამზადებულია 25 მონაწილე	შერჩეულია სატრეინინგო თემები და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, გადამზადებულია 25 მონაწილე

		დამსაქმებელთან.3. კარიერის შექმნა და დაგეგმვის ეტაპები. 4. წარმატებული გასაუბრების თავისებურებები. 5. არაპროფესიონალი HR-ის პრობლემა დასაქმები ბაზარზე. 6. გუნდური მუშაობა / კონსტრუქციული თანამშრომლობა. 7. PR თავისებურებები და სტერეოტიპები ჩვენს რეალობაში. 8. პროგრამის შეფასება და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა მონაწილეთა დასაქმების ხელშეწყობისათვის. (მენტორინგი).), შედგენილია გრაფიკები, ჯგუფები და სატრენინგო პროგრამა.			
7. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ტრეინინგების ჩატარება სასტუმროთა და მომსახურების ობიექტების პერსონალისათვის	01/2020 - 08/2021	შერჩეულია სატრეინინგო თემები და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა.	ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, გადამზადებულია 15 მონაწილე	შერჩეულია სატრეინინგო თემები და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, გადამზადებულია 15 მონაწილე	შერჩეულია სატრეინინგო თემები და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, გადამზადებულია 15 მონაწილე

8. ღვინის მარნების ხელშეწყობა	01/2020 – 08/2021	შერჩეულია გამოფენაში მონაწილე 2 მცირე მარანი და შემდგარია მონაწილეთა ჯგუფები 2-3 კაციანი შემადგენლობით	აღნიშნული ჯგუფები გაიგზავნა და მათ მიიღეს მონაწილეობა აღნიშნულ გამოფენაზე, მოხდა წარმოდგენილი მარნების პროდუქციის პოპულარიზაცია, გაიზარდა წარმოდგენილი მარნების პროდუქციის რეალიზაცია. ღვინის ქარხნებამდე მიმავალი გზა რეაბილიტირებულია.	შერჩეულია გამოფენაში მონაწილე 2 მცირე მარანი და შემდგარია მონაწილეთა ჯგუფები 2-3 კაციანი შემადგენლობით	აღნიშნული ჯგუფები გაიგზავნა და მათ მიიღეს მონაწილეობა აღნიშნულ გამოფენაზე, მოხდა წარმოდგენილი მარნების პროდუქციის პოპულარიზაცია, გაიზარდა წარმოდგენილი მარნების პროდუქციის რეალიზაცია
9. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების (სასოფლო-სამეურნეო დაურეგისტრირებელი) აღწერა და საიჯაროდ მომზადება	09/2020 - 08/2021			გამოვლინდა და აღიწერა ქონება; მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია	მოხდა აღწერილი ქონების მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადმოტანა; მომზადდა საიჯარო დოკუმენტაცია
მთელი ბიუჯეტის დახარჯული % (პირობითი, საორიენტაციო)	100 %	25%	35%	20%	20%